№ 252 9 დეკემბერი, შაბათი 1866—1878 9 დეკემბერი, შაბათი № 252

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალს 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე პროგრამმითა და მიმართულებით როგორც აქამდის გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა

თფილისში—მიიღება „დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8).

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газ. „Дроэба“.*

აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოთ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

### გაზეთის ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — — — — — — — — — — | 8 მან. |
| ნახევარის წლისა— — — — — — — — — — | 5 „ |
| სამის თვისა — — — — — — — — — — — | 3 „ |
| ერთის თვისა — — — — — — — — — — — | 1 „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ხვედრი ფასი გაზეთისა დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი; უფულოთ გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

## საქართველო

### დღიური

*** ერთს ამბავს გვწერენ გორიდამ. ამბობენ, ვითომც იქაურ სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორს უფ. სემიონოვს განზრახვა აქვს მთავრობას წარუდგინოს პროექტი გორში საქალებო პროგიმნაზიის გახსნის თაობაზედ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართლში ამჟამად არც-ერთი საქალებო სასწავლებელი არ არის, ამ ხმის გამართლება, რასაკვირველია, სასიამოვნო იქნება.

*** გასული ომიანობის დაწყებიდამ, ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ მხარეებში, როგორც მაგალითად ახალციხესა და ოზურგეთში, მუდამ დღე მიდიოდა თფილისიდამ ფოშტა. ჩვენ გვეგონა, რომ ომის გათავების შემდეგაც არ მოგვაკლებდა ამას ჩვენი ფოშტა; საუბედუროთ, მოტყუებული შევიქენით: ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ ფოშტის უწყებიდამ ცნობა, რომ დღეის შემდეგ ოზურგეთისა და ახალციხისაკენ, აგრეთვე ზოგიერთ სხვა ადგილებში ქალაქიდამ ფოშტა კვირაში

## ფელეტონი

### უცხო მხარე

—

წავალ, სადაც სიღარიბეს
გოროტებად არა სთვლიან,
სადაც პირად ღირსებაებს
ნაბოძვარში არა სცვლიან!

—

სადაც ყველა თანსწორია,
ერთს მეორის არ აქვს შიში,
სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ
ფარისევლის ანგარიში!

—

ამისთანა უცხო მხარე
გიცი მხოლოთ ერთად-ერთი:
ოცნებისა სამთავროში,—
იმას ჰქვია... სიზმარეთი!

აკაკი

### არტაანის ამბები

(„დროების“ კორრესპონდენცია)

აჭყრუმ არტაანელებს, აჭყრუმ! ვიღამ გაგვიძლოს, ეხლა სამხედრო კლუბიც გვიარსდება და, უეჭველია, კლუბთან ბიბლიოთიკის გახსნასაც მოისაზრებს ვინმე!

ეს გარემოება ჩვენ ძალიან გვახარებს, რადგანაც ზოგიერთას ფეხები გვქავა ტანცაობისთვის, რომელსაც აქამდინ მოკლებულნი ვიყავით. დამებიც, ღვთის მადლით, თან-და-თან ბლომათ გვემატება და ეხლა დავძლებით ტანცაობით და ზოგიერთაც სასიყვარულო რომანების და მოთხრობების კითხვით, რადგანაც ჩვენს ბიბლიოთეკაში, ვგონებ, ამაზე მეტი არა იქნება-რა და, სწორეთ მოგახსენოთ, ამათ მეტი სხვა წიგნების კითხვაც ჩვენი ტვინის საქმე არ არის!

ჩვენ გვიხარიან ეს გარემოება, მაგრამ ჩვენებურმა პოლოსეებმა კი ძალიან ცხვირ-პირი ჩამოუშვეს, ერთის მხრივ იმისთვის, რომ კლუბის გახსნით ვაჭრობა უმცირდებათ, მეორეს მხრითაც იმიტომ, რომ ამ ახალი დაბადებული კლუბის იჯარით ქონვა დარჩა იტალიელი სასტუმროს „მარსელის“ პატრონის ცოლს და არა ამათ. თუმცა თავისებურად ბევრი გაძვრენ-გამოძვრენ, მაგრამ მაინც ჩვენმა სულის დამამ არტაანის ვენერამ გაიმარჯვა, რასაკვირველია, როგორც ეს პოლოსეები ხსნიან, ამისი მშვენიერების და ჰეეროვნების თაყვანისმცემლების შემწეობით.

ერთი ხეჩატურა, როდესაც გაიგო, რომ კლუბი ამ ქალს დარჩა, იცემდა გულში ხელს და იძახდა:

—ამ დალოცვილმა ღმერთმა, თუ არტაანში კლუბი გაიხსნებოდა, რატომ

მხოლოდ ორჯერ ოქლისო—სამშაბათობით და შაბათობით.

⁂ გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი:

„ჩვენ გავიგონეთ, რომ დიდის მთავრის ნამესტნიკის ბრძანებით, მთავარ სამმართველოს სჯა აქვს ახლა იმაზედ, რომ კავკასიის მხარეში შემოღებული იქმნეს წესდება საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებისა (институтъ почетныхъ мировыхъ судей).“

⁂ ზემოხსენებულსავე გაზეთში დაბეჭდილია თელავიდამ მიღებული ცნობები, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ, უწვიმობის გამო, კახეთში გაჩენილა მინდვრის თაგვები; მაგრამ ამ მინდვრის თაგვებზე უფრო მავნებელი ჩვენი ხალხისათვის სხვა-და-სხვა ჩარჩები არიანო, რომელნიც ჩამოვიდნენ ქალაქიდამ და თამბაქოსა და ღვინოს ჰყიდულობენო.

კორრესპონდენტის სიტყვით, კახური თამბაქოს ფუთი შარშან 8—18 მანეთამდინ იყიდებოდა, წელს კი 12 მანეთზე ზევით აღარ იყიდებაო, ვაჭრებს პირი აქვთ ერთმანეთისათვის მიცემული და მეტს არ აძლევენო. ეს თამბაქო თფილისში ფუთი 60—80 მანეთად იყიდება!

⁂ ქუთაისიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ, რადგან იქაურ საქალებო გიმნაზიაში სხვა-და-სხვა გადამდები ავათმყოფობა გავრცელებულა, ამის გამო ამ გიმნაზიის მთავრობას დაუთხოვნია შაგირდები და სწავლა დროებით შეუჩერებია.

⁂ „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ მომავალის წლიდამ თფილისში გამოიცემა ახალი გაზეთი თათრულს ენაზე, რომელსაც სახელად ერქმევა „ე ლ ვ ა რ ე ბ ა“. რედაქტორად ამ გაზეთისა იქნება წევრი აქაური სუნნიტის რიგის გამგეობისა ჰაჯი-საიდ-ეფენდი უნსიზადე.

⁂ გუშინ ტელეგრამმები არ მოსულია პეტერბურღიდამ, რადგან როსტოვის მახლობლად ტელეგრაფის მავთულები გაფუჭებული არისო.

არც ფოჩტა მოსულა გუშინ სატახტო ქალაქებიდამ; ამის მაზეზს იმას გვაცნობებენ, რომ ვორონეჟის რკინის გზის მატარებელმა ვერ მოუსწრო კავკასიის ფოჩტის წამოსვლასო.

შ ე ც დ ო მ ა. უკანასკნელს ორს ნომერში ჩვენის გაზეთისა, სხვათა შორის, ორი შეცდომა იყო: № 250-ში მოწინავე სტატიაში („სიღნაღის არეულობის მიზეზი“) პირველი სვეტიდამ მეცამეტე სტრიქონის შემდეგ შვიდი სტრიქონი გადატანილია შეცდომით ფელტონის პირველსავე სვეტში და მოქცეულია უკანასკნელ შვიდ სტრიქონად.

გუშინდელს № 251-ში კი მოწინავე სტატიის სათაური ზოგიერთს ნომრებში ბეჭდვის დროს დაპნეულა; დაბეჭდილია: „ანდრეევსკ ცესსის გამო“; უნდა იყოს: „ანდრეევსკის ქალის პროცესსის გამო.“

## „დროების“ კორრესპონდენცია

I

თიონეთი, 5 დეკემბერს. ნოემბრის 25-ს დავესწარ თიანეთის მიროვოის სუდში, სადაც იყო გამოძიება მკითხავებზე. სოფ მატნის მღვდელს ეჩივლა უეზდის ნაჩალნიკთან, რომ ჩემ სამრევლოში მკითხავები არიან და დაუშალეთ მკითხაობაო, რადგანაც ხალხს აცდუნებენო.

ეს საჩივარი უფ. უეზდის უფროსს გარდაეცა სუდისათვის.

გამოძიების დროს სუდში იყვნენ იმისთანა პირნი, როგორც მღვდელნი, ეგრეთვე სხვანიცა, რომელთაცა ნამდვილ უჩვენეს და დაამტკიცეს მკითხავების უკანონო და ხალხისათვის მავნებელი ქცევა, რომლითაცა მათ ეკუთვნოდა სასჯელი; უჩვენეს, რომ მკითხავებს მიეზიდნათ რაოდენიმე პირნი და აღეშენებინათ ერთი პატარა ეკკლესიის მსგავსი ქვითკირის სახლი, სადაცა ექმნათ ტრაპეზი და მასზედ დაედგათ ერთი დიდი ირმის რქა; შორდებოდნენ ყოველ დიდ საუფლო დღესასწაულში ეკკლესიიდგან წირვა-ლოცვასა, მიდიოდნენ მის თაყვანის საცემლათ და უხოცდნენ საკლავებს; დაეყენებინათ დეკანოზები (ხალხიდგან ამორჩეულნი უფროსნი ერის კაცები) და მათთვის აღესრულებინათ საღვთო მოქმედება და ლოცვები და სხვ. თუმცა ამასთანავე წარდგენილი იყო ხელწერილი, მიცემული იმ მკითხავებისაგან მღვდლისადმი, რომელშიაც ეწერა, ოღონ ეხლა კი გვაპატიევ და მერე აღარ გავბედავთ მკითხაობასაო, რომელსაც ამოწმებდა მამასახლისი, მაგრამ მაინც-და-მაინც მიროვოი სუდიამ არა-თუ აღუკრძალა, არამედ მისცა დიდი შემწეობა, დარიგება და ნება!...

დიდი უბედურობაა ჩვენი მთიული ხალხისათვის იმისთანა უმართლმსაჯულოს კაცის მოსამართლობა. იქ მაყურებელნი ვინც იყვნენ მთის ხალხნი, ამბობდნენ: „ეს ჩვენი ღმერთიაო, მეორე ცოლობის ნებასაც გვაძლევს, დეკანოზობისასაც, მკითხაობისასაც და კერპთაყვანისცემისასაცაო! ისევ ჩვენი ძველი დრო მოვიდაო!“

არც სხვა მხრივ არის ჩვენი მოსამარ-

---

მეც ერთი ლამაზ ქალათ არ გამაჩინა! მაშინ მე ვიცოდი, როგორც გამოვსწორავდი ამ ქარაფშუტა ვოენების გახვრეტილს ჯიბეებს, სადაც ფულის საქმე არ არის ყოფნა!..

ეჰ, ამოდენა არტაანზე ლაპარაკით ვგონებ, ყურები გამოგიშტერეთ. თუმცა კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ—იმ ერთი ანდაზისა არ იყოს—„პირი წყლითა მაქვს სავსე.“

მაშ ჯერ-ჯერობით ვიკმაროთ არტაანზე და ამის მაზრის სოფლებზედ ლაპარაკი, რადგანაც აქ ხალხიც და თვით ცხოვრების მიმდინარეობაც სულ ერთნაირია ყველგან და რაც ერთზე ითქმის, მეორეებზედაც სწორეთ ის.

მაშ რაღა ვსთქვათ?

აი, ბატონებო, კიდევ რა:

ეს ჩვენი მხარე, როგორც ერთხელა არ იყო ნათქვამი, სავსეა ძველი შენობებით, როგორიც არის მაგ. ეკკლესიები, ციხეები და სხვა-და-სხვა კოშკები. ბევრს ეკკლესიებზე აქამდენ დარჩენილია ქართული ზედწარწერები.

ამ ციხეების და კოშკების აშენების დროსაც მტკიცე კავშირი აქვსთ ჩვენ ძველს სამშობლო ისტორიასთან.

მაშასადამე ყველა ეს ძველი ძეგლები ბევრს რამე საინტერესო მასალებს წარმოუდგენს ჩვენს საზოგადოებას. ეს ყველა, ვგონებ, გაგონილი უნდა ჰქონდეთ ჩვენს მეცნიერ-სპეციალისტებს და კავკასიის არხეოლოგიურ საზოგადოებასაც და მე არ მესმის, ნუთუ არავისთვის სანუკარი და საინტერესო არ არის ამ მშვენიერი და ცხოველი ისტორიული მასალების გამოკვლევა, რომ აქამდინ არავინ ინძრევა და სტოვებენ ამ ძვირფასს საგნებს ჟამთა ვითარების შემუსვრის ქვეშ?!

აქამდინ თუ ძნელი იყო აქეთ მოგზაურობა, ეხლა ხომ აღარა გაჭირება და დაბრკოლება არ მოელის მეცნიერ მოგზაურს. ეს ხომ ყველასთვის ცხადია, რომ რამდენიც დროება მიდის, იმოდენათ ძნელდება ამ ძეგლების შესწავლა და გამოკვლევა, რადგანაც დროთა განმავლობაში ესენი თან-და-თან ძველდება და იმუსრება ზედწარწერებიც—ეს ჭეშმარიტი გასაღები იმისა—თუ რომელი ძეგლი რა დროს და რა ხალხს ეკუთვნის.

წინათაც ვსწერდით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ აქეთ მხარეს ერთს სოფელს ვერ ნახავთ, რომელშიაც ეკკლესიის ნანგრევი არ იყოს; მაგრამ უმეტესი ნაწილი ისეა გაფუჭებული, რომ კვალიც აღარა სჩანს—სომხებისა ყოფილან ისინი, თუ ქართველებისა. ამას იმისთვის ვამბობ, რომ, თუ ვისმე სურვილი აქვს

თლე მოსაწონი კაცი და რიგიანი მოსამართლე: სხვათა შორის ის იბარებს ხალხს დილის რვა საათზედ შორის სოფლებიდან, რომლებსაც აქვსთ სავალი გზა 80-ცი ვერსტი; თვითონ ზის სუდში ყელის ჯაჭვით, ეწევა პაპიროზს, უჭყივის ხალხს მაღალის ხმით, ლანძღავს და ამაობაში საწყლებს ეკარგებად ლაპარაკის აზრი...

ხევსური ნოჯელი

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი და ავგანისტანი

Iნდოეთიდამ (ბომბეიდამ) შემდეგ ამბავს იწერებიან ერთს ინგლისურს გაზეთში 30 ნოემბერს:

„Iნგლისის ჯარების ბანაკში მოვიდა ერთი ავღანელი აფიცერი და ამ ჯარების მთავარ-სარდალს სთხოვა, წამოდით თქვენის ჯარებით პირ-და-პირ ქაბულში, რადგან იქ არეულობა არის, ხალხი აღარ სცნობს ემირის უფლებას და ამის გამო გთხოვთ მოხვიდეთ და კანონიერი მმართებლობა დაადგინეთო.“

— მინისტრმა ნორტკოტმა გამოაცხადა Iნგლისის ქვემო პალატაში, ნამდვილად შევიტყეო, რომ რუსის მთავრობას გამოუხმია ქაბულიდამ თავის ელჩი, მაგრამ ეს არ დაგვაკმაყოფილებს ჩვენაო. Iნგლისი და ავგანისტანი ერთად ვერ მოთავსდებიან ავგანისტანშიო და Iნგლისს, უეჭველია, მომეტებული გავლენა უნდა ჰქონდეს ავღანისტანში, ვინემ რუსეთსაო.

## ოსმალეთი

ხონთქარის განკარგულებით, მაჰმუდ-დამატ-ფაშა, სიძე სულთანისა, განდევნილია Oსმალეთიდამ. Iს დანიშნეს ტრიპოლის ღუბერნატორად. ამ განდევნის მიზეზად ის გარემოება მოჰყავთ, რომ ამ ახლო ხანში კიდევ აღმოაჩინეს სტამბოლში შეთქმულობა, რომლის წევრთ ხონთქრის მოკვლის განზრახვა ჰქონიათ და, როგორც ამბობენ, მაჰმუდ-დამატ-ფაშასაც მონაწილეობას იღებდა ამ შეთქმულობაშიო. მაჰმუდ-დამატს გარდა, ბევრი სხვა ფაშები და ისე პირებიც არიან ამ საქმის გამო სტამბოლში დატუსაღებული.

— „ჰავასის სააგენტოში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ ყარათეოდორი-ფაშის დანიშნვა Oსმალეთის უცხო ქვეყნის მინისტრად იმას მოასწავებსო, რომ ხონთქარს ჰსურს ბეჯითად აასრულოს ბერლინის ტრაქტატის ყველა მუხლებიო და მაშასადამე ახალ არეულობას და შეტაკებას ევროპაში არ უნდა მოველოდეთო.

— სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზეთის „ტაიმსასა“ იწერება, რომ Oსმალეთის ახალმა მთავარ ვეზირმა ხაირედდინ-ფაშამ ინახულა რუსის ელჩი თ. ლობანოვ-როსტოვსკი და, სხვათა შორის, დაარწმუნა ისაო, რომ ახალ სამინისტროს გადაწყვეტილი აქვსო, რომ რუსეთთან მშვიდობით მორიგდეს და ახალი პირობით შეეკრასო. ამბობენ, რომ თ. ლობანოვ-რასტოვსკი ძალიან დაკმაყოფილებული დარჩა ხაირედდინ-ფაშის სიტყვებისაგან და პირობა მისცა იმისაო, რომ, როგორც ახალ კონვენციას შევკრავთ ერთმანეთშიო, რუსის ჯარები იმწამსვე დაბრუნებული იქნებიან აღმოსავლეთ რუმელიიდამ რუსეთშიო.

— ვენის გაგეთი „პრესს“ გვაცნობებს, რომ 7 ქრისტეშობისთვის უნდა მოგროვდნენ სტამბოლში, სამხედრო მინისტრის — Oსმან-ფაშის ბრძანებით, ყველა სარდლები Oსმალოს არმიისა და ამით ექნება სამხედრო სჯა ამაზე — თუ ვინიცობაა ომიანობა ატყდეს, ამ შემთხვევაში როგორ უფრო მარჯვედ შეიძლება სატახტო ქალაქის — სტამბოლის დაცვა მტრისაგანაო.

## გერმანია

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია ბერლინიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელშიაც იწერებიან, რომ ამ თვის დამდეგს იქ დაბრუნებულა წყლებიდამ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი, რომელსაც დიდის ამბითა და ალტაცებით მიეგებებია ხალხი.

— ამავე გაზეთის სიტყვით, გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებს, რომ, როცა რუსის ჯარებს ბოლგარიაში ყოფნის ვადა გაუთავდებათ და შინ დაბრუნდებიან, თუ კიდევ ამ ქვეყანაში უწესოება იქნება, ევროპის სახელმწიფოებმა გაგზავნონ იქ ჩასაყენებელი ჯარებიო.

## რუსეთი

Oდესის გაზეთებში აწერებიან, რომ გასული ნოემბრის დამლევს Oდესიდამ, სევასტოპოლიდამ და რუმინიიდამ 29,000 კაცი გაიგზავნა რუმელიაში და ბოლგარიაშიო და ამ ნაირად ახლა Oსმალოს ევროპაში სულ 270,000 რუსის ჯარი იმყოფებაო.

— როსტოვის რკინის გზაზე 24 ნოემბერს ერთი უბედურება მომხდარა: დამპალი რელსების გამო, ვაგონები გადამცდარან გზას, ხუთი ვაგონი სრულიად დამტვრეულა და 28 კაცი მძიმედ დაჭრილია. ეს უბედურება მომხდარა ბატაის სტანციაზე. გამოძიება არის დანიშნული.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 7 დეკემბერს. ამ დღეებში პეტერბურღის მედიკო-ხირურგიის აკადემიაში შეგროვილი იყვნენ სტუდენტები ამ აკადემიისა. ამის გამო ხსენებული აკადემიის ბიბლიოთეკაში 142 (ას-ორმოც-და-ორი სტუდენტი დაატუსაღეს.

---

ამ ძეგლების შესწავლისა, უნდა დროით მოატანოს, თორემ იმ ძეგლებსაც, რომელნიც ცოტათ თუ ბევრად უფრო კარგათ შენახულან, ის მოელის, რაც ნახსენებ ეკკლესიებს, და მაშინ, რასაკვირველია, მათი გამოკვლევაც გაძნელდება და შესაძლებელია სრულიადაც დაიღუპოს ისტორიისთვის.

თუმცა პატივცემულმა დიმიტრი ბაქრაძემ ამ რამდენიმე წლის წინათ იმგზავრა აქეთ და გვარიანადაც აგვიწერა თავის „Oსმალეთის საქართველოში მოგზაურობაში,“ მაგრამ ერთის მხრივ მაშინ იმას ისეთი გარემოება ჰქონდა, რომ ბევრი რამ უნდა დარჩენოდა უყურადღებოთ და ბევრს კითხვებსაც ვერ შეეხო, და მეორეს მხრივ ეს მოგზაურობა არის დაწერილი რუსულს ენაზე, რისგამოც უმეტესი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა მოკლებულია, გაიცნოს ეს მისი სამშობლოდამ ისტორიული მოთხოვნილებით მოგლეჯილი მხარე, რადგანაც ამათ რუსული ენა ირ იციან.

Iმის დასამტკიცებლად, რომ დროთი განმავლობაში ბევრი კარგი ისტორიის მასალები გვეკარგება, მოვიყვან ნამდვილს მაგალითს, რომელიც უ. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს ბევრისთვის უამბნია. ამას ჰქონია ძალიან ბევრი ძველი ქართული წიგნები. წარსული ომიანობის დროს, როდესაც ეს ჩვენ მოგვიდგა, გაბრაზებული აჭარელები დასხმიან ამის სახლს აჭარაში და სხვათა შორის ეს წიგნებიც ცეცხლისა მსხვერპლიად გაუხდიათ.

საზოგადოთ აქაურ ქართველებში ძველი ძეგლების გარდა ბევრი სხვაც რამე მოიპოებოდა; უეჭველია, ცეცხლისგან თუ არა, სხვა რამე მოულოდნელი გარემოებებისგან შეიმუსრება ყველა ეს, თუ დროით არავინ მოატანა. ნუ თუ დიმიტრი ბაქრაძის მეტი აღარავინ გვაბადია, რომელსაც შეეძლოს ამ წმინდა საქმის შესრულება?..

ამ საქართველოს ნაწილში მოგზაურს ამ ძეგლების ნახვის სიამოვნების გარდა, სხვა სიამოვნებაც კიდევ ის მოელის, რომ, თუმცა მე თითონ არ გამიგონია, მაგრამ ამბობენ ამათში უწინდელი ქართული ლექსები, სიმღერეები, ანდაზები, შაირები და სხ. ბევრი შენახულა და, რასაკვირველია, ამათი შეკრება ხალხის გასაცნობად კარგი ღვაწლი იქნება მოგზაურის მხრივ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

„მართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება, რომლის ძალითაც იმ ქალაქების ღენერალ-ღუბერნატორებსა და ღუბერნატორებს, რომლებშიაც უმაღლესი სასწავლებლები იმყოფებიან, აგრეთვე პეტერბურღისა და ოდესსის გრადონაჩალნიკებს ეცნობებათ, რომ იმ კანონს, რომლის ძალითაც აკრძალულია ქუჩებზე და მაედნებზე შეკრებილება აქვს ძალა აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, როდესაც სტუდენტები უნივერსიტეტის შენობაში შეგროვდებიან.

ამის გამო ადმინისტრაცია და პოლიცია ვალდებულნი არიან, როცა კი იმათ ამ უმაღლესი სასწავლებლების მთავრობა მოითხოვს, მივიდნენ და კანონისამებრ მოიქცნენ.

### პეტერბურღის ბირჟა, 7 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 96 | 50 |
| მეორე— — — — — — | 94 | 75 |
| მესამესი — — — — | 95 | „ |
| მეოთხესი — — — — | 95 | 87 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92 | 37 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | 37 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8 | 57 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 238 | „ |
| მეორე სესხის — — — | 233 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 22 | 85 | პენსი |
| ამსტერდამი— — | 118 | 50 | ცენტი |
| ბერლინი— — — | 199 | 25 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 245 | 10 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი— | „ | „ | |

# განცხადებანი

თფილისის ქალაქის რჩევის (დუმის) გარდაწყვეტილების ძალით, რომელიც დადგენილი იყო ნოემბრის 16-ს ამომრჩევითი კრებები მომავალი ოთხი წლისათვის, რჩევისათვის ხმოვანთა (გლასნების) ამოსარჩევლად, იქნება შემდეგ რიცხვებში:

პირველი რაზრიადის ამომრჩევლები შეიკრიბებიან 12 ქრისტეშობისთვეს ქალაქის გამგეობის (უპრავის) ზალაში, ალაბაბოვის სახლებში, სერგიევის ქუჩაზე. სხდომა დაიწყება დილის 10 საათზედ.

მეორე რაზრიადის ამომრჩევლები უნდა შეიკრიბნენ 15 ქრისტეშობისთვეს თფილისის საბრანიის (კლუბის) ზალაში, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, გოლოვინის პროსპეკტზე. სხდომა დაიწყება სწორედ დილის 10 საათზე.

მესამე რაზრიადის ამომრჩევლები უნდა შეიკრიბნენ 18 ქრისტეშობისთვეს ზემოხსენებულისავე თ. მუხრან-ბატონის სახლის ზალაში. სხდომა დაიწყება აგრეთვე სწორეთ დილის 10 საათზე.

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს რა ამას საყოველთაო საცნობელად მოიწვევს უფალთ ამომრჩეველთა: I რაზრიადისას—12 ქრისტეშობისთვეს, მე-II რაზრიადის—15 ქრისტეშობისთვეს და მე-III რაზრიადის—18 ქრისტეშობისთვეს, რათა მობრძანდნენ კრებებზე დანიშნულ ალაგას და აღნიშნულ საათს.

ვისაც ამომრჩეველთ სიის მიღება სურს, შეუძლიან მობრძანდეს ქალაქის გამგეობაში და მიიღოს იქიდამ ეს სია ყოველ დღე გარდა კვირა და უქმ დღეებისა დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(6—4)


დაიბეჭდა და ისყიდება

საქართველოს

## კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: ა. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთად გაიწერს იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭდვიდან და იქმნება გასასყიდათ ამავე ადგილებზედ: ივ. კერესელიძის ლექსები გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან

ფასი ყველგან 50 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, მული და მაშენიკები"—თფილისში: გრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: გიორგი ბარათოვთან, გორში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამიძესთან მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: ა. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?"


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პ რასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 5 დეკემბერს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | — |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 4 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | — |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 50 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 80 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბა-ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 8 Декабря 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.